

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი  
სხდომის ოქმი N9

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

08. 08. 2022 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი.

**სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი:** ალექსანდრე ლილუაშვილი, დავით ხარბეიშვილი, შოთა გიორგაძე, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაძე, ლია დიასამიძე, ილია დვალისძე, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, მაკა ზარნაძე, ტარიელ ბარამიძე, თეონა ადვიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია, ალექსანდრე მჟავანაძე, ლიზა ტყეშელაშვილი, კობა მაგნიძე.

**სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:** გიორგი ივანიძე, გრიგოლ მატარაძე, ბიჭიკო პაიკიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, გიორგი ტყეშელაშვილი, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, ნატო დვალი.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე;**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში- **სალომე ფახურაძე.**

**მოწვეული პირები:**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-**ივანე მამფორია;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი-**ზვიად კაპანაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი-**გელა კაშია;**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14<sup>00</sup> საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

## დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: /ივანე მამფორია/

2. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს: /გელა კაშია/

3. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ერთი ერთეული „FOTON“-ის მარკის თვითმცლელი ავტომობილის, სახელმწიფო ნომრით II095FI ა(ა)იპ „ვანის კომუნალური გაერთიანება“ -სთვის (ს/კ 429649017) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს: /ზვიადი კაპანაძე/

4. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხს: /გელა ჩიკვაძე/

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - არცერთი.

**დაადგინეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს:** დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N 51 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N 75 განკარგულებაში 2022 წლის 5 აგვისტოს N 1398 განკარგულებით შეტანილი ცვლილებებით გამოყოფილი თანხებისა და 2022 წლის პროგნოზირებული დამატებული ღირებულების გადასახადის კორექტირების შედეგად მიღებული შემოსავლის ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით.

საკუთარი სახსრებიდან მისაღებ შემოსავლებში განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) ქონების გადასახადი იზრდება 50, 0 ათასი ლარით.

ბ) დამატებული ღირებულების გადასახადი იზრდება 642,4 ათასი ლარით.

გ) სხვა შემოსავლები მცირდება 77,4 ათასი ლარით.

ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 18277,0 ათასი ლარით, გადასახდელები 21255,8 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 2978,8 ლარის რედაქციით.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N 75 განკარგულებაში 2022 წლის 5 აგვისტოს N 1398 განკარგულებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების საბიუჯეტო პროგრამის - საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების (პროგრამული კოდი 02 01) ასიგნება იზრდება 2240,9 ათასი ლარის ოდენობით.

საკუთარი სახსრებიდან გასაწევ ხარჯებში განხორციელდება შემდეგი სახის ცვლილებები: კერძოდ: გარე განათების ხარჯები იზრდება 15,0 ათასი ლარი საბავშვო ბაღების დაფინანსება 70,0 ათასი ლარით, ააიპ კომუნალური გაერთიანების დაფინანსება 30,0 ათასი ლარით, საპროექტო ზედამხედველობის მომსახურება 40,0 ათასი ლარი, საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა 20,0 ათასი ლარი, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა 40,0 ათასი ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

**გადაწყვეტის:** დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**დადგენილება: N16**

**მოისმინეს :**

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა-გელა კაშიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „დადგენილების პროექტი არეგულირებს ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ფიზიკური და იურიდიული პირის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ან შენობა-ნაგებობაში გარე ვაჭრობის ადგილის განსაზღვრის, გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი საქონლის განთავსებისა და ტერიტორიის მოწყობის წესებს.

გარე ვაჭრობის წესების ამოცანებია: ა) მუნიციპალიტეტის იერსახის დაცვა; ბ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა; გ) მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესების დაცვა; დ) სურსათის უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფა;

დადგენილების პროექტის მიხედვით ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობა დასაშვებია ვანის მუნიციპალიტეტის მერის მიერ (შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე) მხოლოდ საამისოდ განსაზღვრულ ადგილებზე.

ვანის მუნიციპალიტეტის აღმასულებელი ორგანო უფლებამოსილია გარე ვაჭრობის ადგილებად განსაზღვროს ერთი ან რამდენიმე ქუჩა იმდაგვარად, რომ აღნიშნულ ქუჩებში მთლიანად ან ნაწილობრივ აიკრძალოს ან/და სხვაგვარად შეიზღუდოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება.

აღსანიშნავია, რომ გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს: ა) მუნიციპალიტეტის განვითარების ინტერესები; ბ) მოსახლეობის სიმჭიდროვე; გ) სატრანსპორტო ნაკადი; დ) საზოგადოებრივი სივრცეების გამტარუნარიანობა; ე) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება; ვ) საგზაო მოძრაობის წესები; ზ) ეკოლოგიური მდგომარეობა; თ) საზოგადოების სხვა ინტერესები.

გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ აღნიშნულ ადგილზე გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი დროებითი შენობა-ნაგებობის ან/და ნივთის

განთავსებამ არ დააბრკოლოს ან სხვაგვარად არ შეზღუდოს მიწის ვაკისის სავალ ნაწილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობა ან არ შეზღუდოს ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის ხილვადობა.

გარე ვაჭრობისათვის და ბაზრობებისთვის განკუთვნილი ადგილები მოეწყოს ისე, რომ აკმაყოფილებდეს ვანის მუნიციპალიტეტის იერსახის მოთხოვნებს და არ უნდა აფერხებდეს ფეხით მოსიარულეთა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას. გარე ვაჭრობა და ბაზრობები უნდა მოეწყოს მოქმედი სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნებისა და უსაფრთხოების წესების დაცვით.

დადგენილების პროექტი მოუცავს აგრეთვე თუ რა სახის საქონელზეა ნებადართული გარე ვაჭრობა, გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილებს, გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსების წესს, გარე ვაჭრობის წესის დარღვევის კრიტერიუმებს.

დასკვნითი დებულების თანახმად, ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ამ წესის შესაბამისად ითვლება გარე ვაჭრობად, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, ითვლება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153<sup>3</sup> მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევად. დადგენილების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – ზედამხედველობის სამსახური.

**აზრი გამოთქვა:** საკრებულოს წევრმა-ეთერი ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ „აუცილებელია გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შემდეგ, აღნიშნული დადგენილების შესახებ ეცნობოს როგორც მოვაჭრეებს, ასევე ბაზრის დირექციას, რათა გარე მოვაჭრეებს შესთავაზონ შესაბამისი ფართი, რომ აღნიშნული წესებით გათვალისწინებულმა შეზღუდვებმა არ დააზარალოს მათი ინტერესები.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“.

**დადგენილება: 17**

3. დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა-ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ერთი ერთეული „FOTON“-ის მარკის თვითმცლელი ავტომობილის, სახელმწიფო ნომრით II095FI ა(ა)იპ „ვანის კომუნალური გაერთიანება“ -სთვის (ს/კ 429649017) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის მიხედვით მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ერთი ერთეული „FOTON“-ის მარკის თვითმცლელი ავტომობილის, სახელმწიფო ნომრით II095FI ა(ა)იპ „ვანის კომუნალური გაერთიანება“-სთვის (ს/კ 429649017) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე და ვანის მუნიციპალიტეტის მერმა (ა. გოგორიშვილმა) უზრუნველყოს აღნიშნული უძრავი ნივთის გადაცემა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ერთი ერთეული „FOTON“-ის მარკის თვითმცლელი ავტომობილის, სახელმწიფო ნომრით II095FI ა(ა)იპ „ვანის კომუნალური გაერთიანება“ -სთვის (ს/კ 429649017) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

**განკარგულება: გ-65.65222201**

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა-გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2022 წლის 3 აგვისტოს N65-65222152 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ივლისის თვეში საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 675 ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.“

**განკარგულება: გ-65.65222202**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.